

ვებგვერდზე www.tbcbank.ge განთავსებული ფიზიკური პირის საბანკო ოპერაციების წარმოების შესახებ ხელშეკრულების (შემდგომში „ხელშეკრულება“) 8.5 პუნქტის შესაბამისად, სს „თიბისი ბანკი“ გათავაზობთ ხელშეკრულებაში შემდეგი ცვლილებების (დამატებების) შეტანას:

შეიცვალოს ხელშეკრულების 7.10.3 ქვეპუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

7.10.3. კლიენტისათვის სხვადასხვა მომსახურების / პროდუქტების (მათ შორის სადაზღვევო პროდუქტების/მომსახურების) შეთავაზებისა და გაწევისათვის აუცილებელი ინფორმაცია (მათ შორის კლიენტის პერსონალური მონაცემები), გადასცეს ბანკის შვილობილ კომპანიებს, მათ შორის სს „თიბისი დაზღვევას (ს.კ. 405042804) ან სხვა მონათესავე საწარმო(ებ)ს, რომლებიც თავის მხრივ კისრულობენ ვალდებულებას, დაიცვან ბანკის მიერ მიწოდებული ინფორმაციის კონფიდენციალობა.

შეიცვალოს ხელშეკრულების 16.27, 16.28 პუნქტები და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

16.27. კლიენტი ბანკს ანიჭებს უფლებამოსილებას, კლიენტის (დაზღვეულის) მიერ გადასახდელი სადაზღვევო პრემიის ვადაგადაცილების შემთხვევაში, ბანკმა (მოსარგებლემ) საკუთარი შეხედულებისამებრ, თავად განახორციელოს სადაზღვევო პრემიის გადახდა მზღვეველისთვის, მაგრამ არაუმეტეს 90 (ოთხმოცდაათი) დღისა.

16.28. წინამდებარე ხელშეკრულების 16.27 პუნქტით გათვალისწინებული პირობის შესაბამისად, ბანკის მიერ მზღვეველისთვის (კლიენტის ნაცვლად) სადაზღვევო პრემიის გადახდის შემთხვევაში, ბანკი უფლებამოსილია კლიენტს (დაზღვეულს) მოსთხოვოს ბანკის მიერ სადაზღვევო პრემიის სახით მზღვეველისთვის გადახდილი თანხის ბანკის სასარგებლოდ სრულად გადახდა.

ხელშეკრულების მე-16 მუხლს დაემატოს 16.29 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

16.29. დაზღვევა ითვლება შეწყვეტილად / შეჩერებულად (ბანკის შეხედულებისამებრ) კლიენტის (დაზღვეულის) მიერ გადასახდელი სადაზღვევო პრემიის 90 (ოთხმოცდაათი) დღიანი ვადაგადაცილების შემთხვევაში. მიუხედავად ხსენებულისა, ბანკი (მოსარგებლე) უფლებამოსილია განაახლოს დაზღვევა (ცალმხრივად აღადგინოს დაზღვევის პირობები), იმ შემთხვევაში, თუ სრულად განხორციელდება ბანკის მიმართ კლიენტის დავალიანების დაფარვა. თუმცა, ანაზღაურებას არ დაექვემდებარება ვადაგადაცილების (დავალიანების) არსებობის პერიოდში დამდგარი სადაზღვევო შემთხვევები.

შეიცვალოს ხელშეკრულების 24-ე მუხლი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

24.1. მომსახურების აღწერა:

24.1.1. დისტანციურ საბანკო მომსახურება - Mail Banking-ი გულისხმობს, ბანკის მიერ დადგენილი კრიტერიუმების, მოთხოვნების, წესებისა და წინაპირობების კლიენტის მიერ სრულყოფილად დაკმაყოფილების შემთხვევაში, ელ. ფოსტით, ინტერნეტბანკით, მობაილბანკით, მობილური ტელეფონით ბანკისთვის გაგზავნილი/წარდგენილი დავალების შესაბამისად საბანკო ოპერაციების შესრულებას / სხვადასხვა საბანკო (მათ შორის საკრედიტო) პროდუქტის მიღების სურვილის დაფიქსირებას (ბანკისთვის განაცხადის წარდგენას) და ბანკის მიერ დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, შესაბამისი მომსახურების/პროდუქტის მიღებას

(დადასტურებას), ისევე როგორც, ბანკის მიერ შეთავაზებული საბანკო (მათ შორის საკრედიტო) პროდუქტების მიღებას (დადასტურებას).

- 24.1.2. Mail Banking-ით სარგებლობის კრიტერიუმები, მათ შორის შესაბამისი ტარიფები და სხვა ინფორმაცია, განთავსებულია ბანკის ვებგვერდზე - www.tbcbank.ge. ამასთან, ბანკი უფლებამოსილია კონკრეტული მომსახურების მიწოდების პროცესში კლიენტს განუსაზღვროს ცალკეული მოთხოვნები და წინაპირობები წინამდებარე ხელშეკრულების 24.1.1. ქვეპუნქტის შესაბამისად.
- 24.1.3. ბანკი პასუხს არ აგებს კლიენტის მიერ ბანკისთვის მიწოდებული საკონტაქტო ინფორმაციის შესაბამისად / ელექტრონული კომუნიკაციის (ელ. ფოსტა, მობილური ტელეფონი, ინტერნეტბანკი, მობაილბანკი) საშუალებებით ბანკის მიერ გაგზავნილი შეტყობინების ან სხვა ნებისმიერი ინფორმაციის ამსახველი დოკუმენტაციის სხვა პირის მიერ მიღებით გამოწვეულ შედეგ(ებ)ზე.
- 24.1.4. ბანკი პასუხს არ აგებს კლიენტის მიერ ბანკისთვის მიწოდებული საკონტაქტო ინფორმაციის / ელექტრონული კომუნიკაციის (ელ. ფოსტა, მობილური ტელეფონი, ინტერნეტბანკი, მობაილბანკი) საშუალებიდან სხვა პირის მიერ გამოგზავნილი შეტყობინების ან სხვა ნებისმიერი ინფორმაციის ამსახველი დოკუმენტაციის ბანკის მიერ მიღებით და შესაბამისად ქმედების განხორციელებით/ქმედების განხორციელებისაგან თავის შეკავებით გამოწვეულ შედეგ(ებ)ზე.
- 24.1.5. კლიენტის მიერ ბანკისთვის მიწოდებული საკონტაქტო ინფორმაციის / ელექტრონული კომუნიკაციის (ელ. ფოსტა, მობილური ტელეფონი, ინტერნეტბანკი, მობაილბანკი) საშუალებით (შემდგომში „დისტანციური საშუალება“) ბანკისთვის გაგზავნილ ნებისმიერ შეტყობინებას / დასტურს / დავალებას / მოთხოვნას / განაცხადს (მათ შორის ნებისმიერი გარიგების დადასტურებას/გაფორმებას და/ან ხელმოწერილი გარიგების „დისტანციური საშუალებებით“ გაგზავნას) აქვს კლიენტის მიერ დადასტურებული (წერილობითი ფორმით შესრულებული) ქაღალდზე დაბეჭდილი და ხელმოწერილი დოკუმენტის ტოლფასი იურიდიული ძალა.
- 24.1.6. კლიენტისგან მიღებული ნებისმიერი დავალების/მოთხოვნის შესრულება/არშესრულების საკითხზე ბანკი გადაწყვეტილებას იღებს დამოუკიდებლად, საკუთარი შეხედულებისამებრ.